



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 89

2016 წლის 5 სექტემბერი

ხაშური


ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 დეკემბრის „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2015-2016 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ №126 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 დეკემბრის №126-ე განკარგულებით დამტკიცდა საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა, აღნიშნულ ნუსხას ემატება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხაშურის № 6 საბავშვო ბაღის დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი სამშენებლო მასალები ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საჭირო გახდა განკარგულებაში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2015-2016 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ 2015 წლის 7 დეკემბრის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №126-ე განკარგულებით დამტკიცებულ დანართში და დანართი №1 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (დანართი თან ერთვის 1 ფურცლად);
2. განკარგულება შესასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ხაშური, მ.კოსტავას ქ. №15);

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2015-2016 წლის

საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები:

1. ხაშური, ბორჯომის ქუჩა №1 (საკადასტრო კოდი 69.08.60.280) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 1462,00 მ²;
2. ხაშური, ბორჯომის ქუჩა №1 (საკადასტრო კოდი 69.08.60.279) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 424,00 მ²;
3. ხაშური, სტალინის ქუჩა, ბაზრის მიმდებარე ტერიტორია (საკადასტრო კოდი 69.08.60.028) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 1109,00 მ².
4. ხაშური, ფარნავაზის ქუჩა, ყოფილი ვეტაფთიას ტერიტორია (საკადასტრო კოდი 69.08.64.009) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 1515,00 მ².
5. ხაშური, ბექაურის ქუჩა, (საკადასტრო კოდი 69.08.65.016) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 2038,00 მ².
6. ხაშური, იმერეთის ქუჩა, (საკადასტრო კოდი 69.08.60.213) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 1106,00 მ².
7. ხაშური, ბექაურის ქუჩა, (საკადასტრო კოდი 69.08.65.021) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 1740,00 მ².
8. ხაშური, თამარ მეფის ქუჩა №9 (საკადასტრო კოდი 69.08.58.236) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 3766 მ².
9. ხაშურის № 6 საბავშვი ბაღის დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი სამშენებლო მასალები (სამშენებლო „ბლოკი“ და „სინკარი“)